



გ ე ლ ა დ უ მ ბ ა ძ ე

დაიბადა 1965წ. 13 ივნისს ქ. თბილისში;

1982 წელს დაამთავრა 55-ე საშუალო სკოლა;

1982-89 სწავლობდა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტზე (დაამთავრა წარჩინების დიპლომით);

1983-85წწ. მსახურობდა სსრკ ჯარში;

1987-89წწ. წელს ჩამოაყალიბა და იყო ძეგლთა დაცვის ახალგაზრდული გაერთიანების თავმჯდომარე;

1989-96წწ. ჩამოაყალიბა და იყო საბავშვო ესთეტიკურ-საგანმანათლებლო სასწავლებლის დირექტორი; მინიჭებული აქვს უმაღლესი კატეგორიის პედაგოგის წოდება.

1999-2001 - დაამთავრა საქართველოს დიპლომატიური აკადემია; იყო აკადემიის მსმენელთა კლუბის პრეზიდენტი;

1998 წლიდან სტაჟირება გაიარა და დაიწყო მუშაობა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში;

1998-99წწ. ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის პირველი მდივანი;

1999-2000წწ. სამინისტროს პრეს-ცენტრის მრჩეველი;

2000-2001წწ. საგარეო პოლიტიკური ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;

2005-2007წწ. კულტურული მემკვიდრეობისა და დიასპორასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი;

2001-2014წწ. მუშაობდა საქართველოს საელჩოებში;

2001-2005წწ. - აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩო - მრჩეველი;

2007-2009წწ. - რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საელჩო - მრჩეველი;

2009-2013წწ. - უკრაინაში საქართველოს საელჩო - უფროსი მრჩეველი;

2013-2014წწ. - უზბეკეთისა და ტაჯიკეთის რესპუბლიკებში საქართველოს საელჩო - ელჩის მოვალეობის შემსრულებელი, უფროსი მრჩეველი;

2014 წლის 2 ივნისიდან 2014 წლის 22 ივლისამდე - დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე;

2014 წლის 22 ივლისიდან - დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი;

მინიჭებული აქვს უფროსი მრჩეველის დიპლომატიური რანგი;

არის რამდენიმე ლიტერატურული კონკურსის (ლიტვა, გერმანია, საქართველო) ლაურეატი.

ნოველების კრებულების „ყვითელი ტროლეიბუსი“ და „მე - მორბანალი“ ავტორი.

2002წ. აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის რაიონის სოფ. ალიბეგლოს ილია ჭავჭავაძის სახ. თეატრში დაიდგა მისი პიესა „ღამის სტუმარი“.

2012 წ. ივნისში ქ. კიევის გალერეა “Artholl” გაიმართა გ. დუმბაძის ფერწერული ნამუშევრების პირველი პერსონალური გამოფენა;

ფლობს ინგლისურსა და რუსულ ენებს;

ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი.